ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 174

კვირა, 24 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**„ივერიის“ ტელეფონი № 227**

1877—1897

# ივერია

№ 174

კვირა, 24 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერიის“ ტელეფონი № 227**

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

## ქართული თეატრი

ქართულის თეატრის ამხანაგობის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ,** რომელნიც მოისურვებენ ქართულ თეატრში სამსახურს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს** ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული, ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს, თავისის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით.

(10—6.—3)

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

## ი. ოცხელისა

(ქუთაისში)

გამართულია ვარფოლომეევის სახლში, დადიანის ქუჩის შესახვევში, სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდგან, ყმაწვილები მიიღებიან სასწავლებელში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე; საყმაწვილო ბაღში-კი ყოველ დროსა მთელის წლის განმავლობაში. (6—162—2)

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი

სათავად-აზნაურო თეატრში, ოთხშაბათს, 27 აგვისტოს 1897 წ.

**ქართველ-სტუდენტების სასარგებლოდ**

ბ. კას. აბაშიძის რეჟისორობით, სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## ციმბირელი

კომ. 4 მოქ., ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ ციციშვილი, საყვარელიძე, ვაშაკიძე, დიდებულიძე და სხ. ბბ. სვიმონიძე, მესხი, გოცირიძე, იმედაშვილი, შველიძე, ხოსროევი, ჯაფარიძე და სხვ..

II

## დივერტისმენტი.

დივერტისმენტში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გრ. აბაშიძე. დასასრულ **ლეკური.** ანტრაქტებში დაუკრავს **მუსიკა.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ზუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების»

**გ ა მ გ ე ო ბ ა**

ამით აცხადებს, რომ **ბათუმის ქართულს სკოლაში დაცლილია ადგილი უმცროსის მასწავლებლისა** და ამ ადგილის დაჭერის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით გამგეობას.

**ჯამაგირად მასწავლებელს ეძლევა 480 მან. წელიწადში.**

(3—უ.—1).

## ახალი ამბავი

—

⁂ მომავალ კვირის დამლევს კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია კოჯორიდგან ტფილისში იქმნება გადმოტანილი.

⁂ კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი ეგოროვი ამ დღეებში ოდესაში მიდის, რომ რუსეთის რკის გზათა ტელეგრაფის უფროსთა კრებას დაესწროს.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატას გარდასახადთა ინსპექტორების თანაშემწეებად ქ. ტფილისში ბ.ბ-ნი მარკოვი და ფომინი დაუნიშნავს.

⁂ ოდესაში მომხდარ მოსამართლეთა კრებას გარდაუწყვეტია, რომ ებრაელებს და არაქრისტეანეთ ნება ეძლევათ კვირა-უქმე დღეს იმუშაონ, ოღონდ სახელოსნოებში ქრისტეანებს ნუ იყოლიებენ და იმათ ნუ ამუშავებენ.

⁂ დღეს, კვირას, 24 აგვისტოს, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის მიხეი-

## ფელეტონი

—

### გადაგვარება.

I

დიდი ხანი არ არის, რაც კაცობრიობამ მიაღწია იმ ჭკუა-გონების განათლებას, რა დონეზედ ის ახლა სდგას; ადამიანის ჭკუას დაეტყო საუცხოვო განვითარება და მოძრაობა. მთელი მსოფლიო ცხოვრება დღეს დაფუძნებულია ჭკუა-გონების მუშაობაზედ. ერთად-ერთი საბრძოლველი იარაღი არსებობისათვის ბრძოლაში შეიქმნა ჭკუის ძალა.

ამგვარმა გარდამეტებულმა ჭკუა-გონების მუშაობამ, თუმცა მრავალი სიკეთე შეგვძინა, შესამჩნევად გაამჯობესა ჩვენი ცხოვრება და მერმისში უფრო მეტს ბედნიერებას გვიქადის, მაგრამ, სამაგიეროდ, ზიანიც მოგვცა: ამგვარმა გონების მოძრაობამ შეარყია ჩვენის სხეულის სულიერი მხარე, რომელსაც შესამჩნევი ცვლილება დაეტყო; ჩვენმა ტვინმა და ნერვებმა თითქოს დროზედ ვერ მოიპოვეს შესაფერი ძალღონე ამგვარის შრომის გაძლოლისა. ამიტომ ადამიანის სულიერს მხარეს დამასუსტებელი შერყევა დაეტყო; მოაკლდა ადამიანს სულიერი „სისწორე“; აი ეს შეიქმნა საუკეთესო ნიადაგად სხვა-და-სხვა გვარ სულით ავადმყოფობათათვის.

ახლა ევროპაში ყველგან გაისმის ხმა ადამიანის გადაგვარების შესახებ. მრავალი თხზულება დაწერილა ამის შესახებ, სადაც აღწერილია ნიშნები გადაგვარებულის ადამიანისა. როგორც სამეცნიერო გამოკვლევიდგან სჩანს, ეს არა-სასურველი მოვლენა დღითი დღე უფრო მეტს ძალას იძენს. ჩვენს დროში, როგორც სჩანს, ძლიერ იშვიათი ყოფილა ადამიანი სულიერის „სისწორით“. ისინი, რომლებიც სოფლად სცხოვრობენ, ესე იგი, მოკლებულნი არიან გონებრივს მუშაობას, როგორც გარეგანის აგებულებით, ისე სულიერად საღნი არიან. სამაგიეროდ, ქალაქებში-კი, სადაც უფრო მეტი გონებრივი მოძრაობაა, სულით ავადმყოფთა რიცხვი თან-და-თან ჰმატულობს.

უწინდელს დროში ცხოვრება ერთ-ფეროვანი იყო; რამდენიმე თაობა ერთსა და იმავე გვარს ცხოვრებას მისდევდა; ამიტომ ადამიანის არსება უფრო მოსვენებული იყო. ახლა-კი ცხოვრებას მსწრაფლ-მოძრაობა დაეტყო, ადამიანი ძლივს ასწრებს შეუფეროს თავისი ბუნებრივი თვისებანი ცხოვრების ახალ ახალ მოთხოვნილებათ.

დღეს რომელსამე განთქმულს მეცნიერს ხშირად მამა უსწავლელი სოფლელი ან ხელოსანი კაცი ჰყავს. რასაკვირველია, ამგვარი მსწრაფი ცვლილება ძლიერ მავნედ ჰმოქმედობს შთამომავლობაზედ; შვილს, ან შვილიშვილს ამ მეცნიერისას უფროს ერთ შემთხვევაში გადაგვარების ნიშნები ექმნება.

მაშინ არ იქმნებოდა მავნე ცხოვრების გამოცვლა, ამგვარი ცვლილება რომ ნელ-ნელა მომხდარიყო; რამდენსამე თაობას რომ გამოევლო სხვა-და-სხვა გვარი ახალი მოთხოვნილებანი, ესე იგი დრო ჰქონოდა და ამგვარ ცვლილებათ შესჩვეოდა.

II

გადაგვარებული ადამიანი განირჩევა როგორც გარეგანად დამახინჯებულის აგებულებით, ისე სულიერის მანკით. უფროს ერთ შემთხვევაში გადაგვარებულს რომ დააკვირდეთ, მისის სხეულის უმთავრესს ნაწილებში ჰპოვებთ ცვლილებათ; განსაკუთრებით იმ ნაწილებში, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ჩვენ სულიერ მხარესთან; მაგალითებრ, თავის ქალას მოყვანილობა დამახინჯებული აქვთ; ამასვე შენიშნავთ სახის მოყვანილობაში; ყველასთვის ცხადია, თუ რა დამოკიდებულება აქვს თავის ქალას ტვინთან, ხოლო ეს უკანასკნელი არის უმთავრესი ორგანო ჩვენის გონებრივისა და სულიერის მოძრაობისა.

ამგვარს დამახინჯებას მეცნიერებაში ეძახიან გადაგვარებულ ტიპის „სტიგმაცებს“—ნიშნებს.

ძველს ანდაზას რომაელებისას „in corpore sano, mens sana“ დღეს მეცნიერული სიმართლე აქვს; იშვიათია ჰპოვოთ სრულიად გადაგვარებული ის, ვისაც ნორმალური ფიზიკური აგებულება აქვს. უმთავრესად გადაგვარება გამოიხატვის ადამიანის სულიერ მხარის სიმანკეში, ეს უკანასკნელი კი მრავალ-გვარია.

ადამიანის გადაგვარება ერთბაშად როდი ხდება; არამედ საჭიროა, რომ რამდენმამე თაობამ გამოიაროს ცუდისა და მავნე ცხოვრების გარემოებანი, რომლებიც ნელ-ნელა შესძენს მას გადაგვარების სხვა-და-სხვა თვისებას; ბოლოს, გადაგვარების თესლი იმდენად მძლავრი შეიქმნება, რომ ადამიანის სულიერ მხარეს შერყევა ეტყობა და მოკლებული აქვს „სისწორე“. ეტყობა აგრეთვე ცვლილება გარეგან აგებულებაში.

მაშასადამე, გადაგვარებული ადამიანი განირჩევა საღ ადამიანისაგან თავისის სულიერის მანკით და დამახინჯებულის გარეგანის აგებულებით; თუმცა-კი ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გარეგანი სიმახინჯე ისე არ არის შესამჩნევი, როგორც სულიერი მხარეა დაზიანებული.

ყოველი სულიერი მანკი ერთის თაობიდგან მეორეზედ გადადის მემკვიდრეობით; თუ ცხოვრების მავნე გარემოებანიც ხელს უწყობს, გადაგვარება თან-და თან ძლიერდება.

გადაგვარების მიზეზად ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ ცხოვრების ზოგიერთი გარემოება და მათ შორის პირველი ადგილი დავუთმეთ ჭკუა-გონების გარდამეტებულს ვარჯიშობას, რასაც ჩვენი ნერვების დაუძლურება მოჰყვა, რადგან ზომიერი ვარჯიშობა რომელისამე ორგანოსი უფრო ძლიერად ჰხდის, ამაგრებს ამ ორგანოს, ხოლო გარდამეტებული მუშაობა-კი აუძლურებს. ესევე მოუვიდა ადამიანს; უკანასკნელ დროის გონებრივმა ცხოვრებამ თუმცა ჩვენ ჭკუას მეტის მოსაზრების ძალა მისცა, ჩვენი ტვინი უფრო გაიჩჩა, მაგრამ საზოგადოდ ჩვენს ნერვებს-კი სისუსტე დაეტყო, დაირღვა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სიმშვიდე ჩვენის ნერვებისა. გადაგვარებულებს მრავალი თავისებური თვისება აქვთ, რომელიც ხელს უწყობთ კიდევ უფრო უარესს გადაგვარებას; მაგალითად, დამტკიცებულია, რომ გადაგვარებულნი ერთმანეთს ეტანებიან, თითქოს ჰგრძნობდნენო თავიანთის არსების ერთგვარობას.

ამიტომ ხშირია შეუღლება მათ შორის; ამით, რასაკვირველია, გადაგვარების ძალა გაორკეცდება და მემკვიდრეობას უფრო დიდი ძალა ეძლევა. მეო, ამბობს ერთი ავტორი, ვურჩევდიო ყოველ გასათხოვარ ქალს მისთხოვდეს ცოლად გლეხის შვილს, ვიდრე რომელსამე მეცნიერს

ლის ეკლესიაში წირვის შემდეგ ჯვრისა და ზარების კურთხევა იქმნება; ეკლესიას ამავე დღეს დაადგმენ ჯვარს და ზარებსაც ჩამოჰკიდებენ სამრეკლოში.

⁂ ფოთის ქალაქის თავსა და მაზრის უფროსს, შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარეს გ. ზდანოვიჩს (მაიაშვილს) და ოლქის ინჟენერს ცეიტლინს, ახალსენაკის მაზრის უფროსს, ბათუმის ოლქის უფროსს და ქალაქის თავს, შორაპნის მაზრის უფროსსა, ქუთაისის გუბერნატორსა და ქუთაისის მაზრის უფროსს დეპეშა გაეგზავნათ სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოს წევრის ინჟენერის დამბროვსკისაგან, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია და იწვევს, რომ 26 აგვისტოსათვის ქუთაისში შეიკრიბნენ დილის 10½ საათზედ და ბჭობა იქონიონ იმის შესახებ, თუ ბათუმსა, ფოთსა და ტყიბულა-ჭიათურას შუა რკინის გზის სახალხო მატარებელთა მიმოსვლა როგორ უნდა იქმნას შეცვლილი.

⁂ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ადგილობრივ კავკასიაში სამინისტროს რწმუნებულისათვის 300 მან. ერთი გამოუგზავნია ტფილისის სააბრეშუმო სადგურში სკების მოსამატებლად და 500 მან. ერთი, რომ აღნიშნულმა სადგურმა მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის შესახებ დარიგებანი და სახელმძღვანელო წიგნები ჰბეჭდოს.

იმედია, სააბრეშუმო სადგური ამ წიგნებს ქართულს ენაზედ დაჰბეჭდავს და ადგილობრივ მცხოვრებთ დაურიგებს უფასოდ, რომ საუკეთესო წესი მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის შესახებ მათ შორის გავრცელებულ იქმნას.

⁂ 22 აგვისტოს ს-პეტერბურგის ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა ბ-ნმა ფიშერ-ფონ-ვალდგეიმმა ტფილისის ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა. ახლა იგი ბათუმსა, სოხუმსა და სოჭში აპირებს წასვლას იქაურ მებაღეობის დაწვრილებით გასაცნობად.

⁂ სოფ. კავთისხევში ამ ბოლოს დროს ყელჭირვება აღმოჩენილა. საჭიროა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ექიმი მალე მიაშველოს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქში ამ მიმდინარე წელს, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“ სწერს, განხილულ იქნება ის, თუ რა წესით იქმნას შემოღებული სასწავლებელში პროფესიონალური სწავლა (სახელოსნო სწავლა).

ამ საგნის შესახებ რუსეთის ერთს გაზეთში „ურალში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც დღევანდელს პირობებში, როდესაც სწავლის დრო მეტად მცირეა (სულ ორი-სამი წელიწადი), უხერხულადა და უსარგებლოდა სცნობდა პროფესიონალურის ცოდნის შემოღებას, წერილის ავტორის აზრით, ასე მცირე ხნის განმავლობაში მოწაფენი ვერც წერა კითხვას და ელემენტალურს ცოდნას შეიძენენ და ვერც პროფესიონალურს ცოდნას შეითვისებენ, მით უფრო, რომ ჯერ დღემდის რიგიანი მომზადებული მასწავლებელი ცოტა გვყავს სოფლადაო. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით დასახელებულის წერილის ავტორს და ვისურვებთ, რომ ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობას ჯეროვანი ყურადღება მიექციოს ამ გარემოებისათვის, თუ ჰსურთ ამ ახალმა ცვლილებამ რიგიანი ნაყოფი მისცეს მოსწავლე ახალგაზდობას.

⁂ ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი სურამიდგან ტფილისს 25 აგვისტოს, ნაშუადღევის 1-ლ საათსა და 30 წამზედ ჩამოვა.

⁂ სადგ. ბელაგორი. როდესაც საქონლის მატარებელი № 68 სადგურიდგან დაიძრა, ქუთაისის გუბერ. შორაპნის მაზრის მცხოვრებს კონდუქტორს კოსტ. ცქიტიშვილს მატარებელზედ შეხტომის დროს ფეხი დაუსხლტა, მატარებელს ქვეშ ჩავარდა და მარცხენა ხელის სამი თითი წააწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ სადგ. ბოსლევი. 22 აგვისტოს, მარტოთ-უბანსა და ბოსლევს შუა, მე 9 ვერსზედ, საქონლის მატარებელ № 353-ის ხუთი ვაგონი ლიანდაგს გადასცილდა. ვაგონების ლიანდაგიდგან გადასვლის დროს ტელეგრაფისტი ნიკოლოზ ჩხეიძე ვაგონიდგან გადავარდა და საშინლად დაშავდა. დაშავებული მაშინვე ყვირილას გაჰგზავნეს. ვაგონები ძლიერ დაშავდა. მატარებელმა 25 წამით დაიგვიანა.

⁂ დ. ჩოხატაური, (ოზურგეთის მაზრა). ძალიან შეგვაწუხა აქაურმა დაუსრულებელმა უწესოებამ: დღე და კვირა ისე არ გაივლის, რომ რომელიმე მთვრალი არ შემოვიდეს ბაზარში ღ მაღაზიებში ალიაქოთი არ ასტეხოს ღ ზარალი არ მისცეს ვაჭარს. თუმცა გვყავს დაყენებული ბაზრის მცველები, მაგრამ თქვენს მტერს ისინი რომ ირჯებინ; თვითონ ისინი სამწყესავნი არიან. დათვრებიან და რა და რას ჩადიან, ვინ იცის. ერთს ვაჭრის მაღაზიაში მივიდა ამასწინად სავაჭროდ ერთი აზნაურიშვილი, გვარად ჩ—შვილი, რომელსაც ერთი ჩვენი მცველთაგანი უმიზეზოდ მივარდა და მათრახით დაუწყო ცემა.

ამისთანა ამბავი აქ ბევრი მომხდარა და კიდეც მოხდება, თუ აქაურმა ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია და არ დაგვიხსნა ამ ვაჟბატონებისაგან.

⁂ ქ. ფოთი. 12 აგვისტოს, საღამოს 12 საათზედ ჩვენი ქალაქის პირველ ქუჩაზედ ისეთი ალიაქოთი და ხანჯლის ტრიალი შეიქმნა, რომ ხალხი შიშით ზოგი სად გარბოდა და ზოგი სად. მიზეზი აი რა იყო: ამ ქუჩაზედ ვაჭრობენ სამნი ძმანი მ—ძეები, დუქანში დილიდგან საღამომდის და ხშირად დილიდგან მეორე დღის დილამდისაც აჭყვირებენ არღანს და სხვადა სხვა ვაჟბატონებს ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური გააქვთ. 12 აგვისტოს დუქანში ორი პატიოსანი კაცი შევიდა ღვინოს დასალევად. წასვლის დროს ღვინოს ფასი ძალიან ეძვირათ სტუმრებს და ამის გამო ლაპარაკი დაუწყეს დახლიდარს. დუქნის პატრონთ არ ესიამოვნათ ეს, სამივე ძმები მისცვივდნენ ბ-ნ ც—ას და უწყალოდ ცემა დაუწყეს. ამანაც, რა თქმა უნდა, ხელი გამოიღო, მაგრამ, აბა სამთან რას გახდებოდა ერთი კაცი? ჩაიგდეს ფეხთ-ქვეშ და დაუწყეს თელვა!.. ბოლოს, როგორც იყო, ერთი ახალგაზდა ყმაწვილი მივარდა, იშიშვლა ხანჯალი, და მაჩხუბრებს სიბრტყით დაუშინა და ძლივძლიობით გადაარჩინა სიკვდილს დაბეჟილი ც—მაია.

ამნაირი ამბავი ხსენებულ დუქანში პირველი არ არის. ხშირად ყოფილა და ამიტომ სასურველია, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ უწესოებას და როგორმე ბოლო მოუღოს.

## დ. ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲑᲘ

(წერილი გურიიდგან)

დღეს მთელს გურიაში და კერძოდ დ. ხიდისთავში გაჩნდნენ ახალმოდის „კაპიტალისტები და პროლეტარიატები“. კაპიტალისტები არიან გლეხების სისხლით და ოფლით მონაგარით გამდიდრებული ჩარჩი ვაჭრები და პროლეტარიატები-კი ამ ვაჟბატონების წყალობით დღეს ეკონომიურად დაქვეითებული, სიღარიბეში ჩაცვივნული გლეხკაცობა. ხიდისთავის ზოგიერთ ჩარჩვაჭრებს დღეს იმდენი არმად შეძენილი სიმდიდრე აქვთ, რომ, ხიდისთავის მიხედვით, თამამად შეგვიძლიან კაპიტალისტები ვუწოდოთ. როგორ და რა გზით შეიძინეს ეს სიმდიდრე? ჰმ! ნეტა მათ! ისე ტკბილად, ისე ჩუმად, რომ არც არავის არაფერი გაუგია და ყველა მადლიერიცა ჰყავთ. არც ქარხნები აქვთ, არც ფაბრიკები, როგორც ევროპის კაპიტალისტებს, რომ მთელი დღე მუშები ამუშაონ და მათის ნაშრომით ჯიბეები გაიტენონ. მათი ქარხანა მთელი სოფლებია, მათი ფაბრიკა დუქნებია, სადაც ნემსსა და ქინძისთავს ჰყიდიან, და მუშები კიდევ მთელი სოფლის მცხოვრებნი. კარგად მოგეხსენებათ, რომ სოფლის ბოგანო ხალხი არ არის ფულით მდიდარი. ის შრომობს, ოფლს ჰღვრის, მიაქვს თავისი ნაწარმოები და ჰყიდის აქაურ ჩარჩებზედ, რომლებიც ნახევარს ფასს აძლევენ, ატყუებენ წონაში და იმათის სიმდიდრით ჯიბეს ივსებენ. აღებულის ფულით გლეხ-კაცობა ისევ იმავ ჩარჩებს უბრუნდება და ყიდულობს მისგან ცხოვრებისთვის საჭირო მასალას. აქაც, რასაკვირველია, ყოველს ხერხსა და ღონეს ჰხმარობს ჩვენი ჩარჩი, რომ როგორმე მოატყუოს საბრალო გლეხკაცი. ატყუებს ზომაში, წონაში, აძლევს დამპალ და უვარგისს საქონელს და ამითი კიდევ უმატებს თავისს სიმდიდრეს. ბეჩავი ხალხი-კი ყურსაც არ იბერტყავს და დასაკლავ ხარსავით უწვდის კისერს.

დღეს გურიის სიმდიდრეს შეადგენს: სიმინდი, აბრეშუმი და თამბაქო. სიმინდს, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ფასი არა აქვს, აბრეშუმი ურიებ-სომხებმა ჩაიგდეს ხელში (თუმცა „შუამავალი“ ძალიან ფართი-ფურთობდა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით... ალბად, კომიტეტის წევრებს სძინავთ და ჯერ ვერ გამორკვეულან სიზმრებიდგან).

დარჩა ერთად-ერთი თამბაქო და ყველამ, მამულის პატრონმა თუ უმამულომ, ამას მიჰყო ხელი. წელებზედ ფეხს იდგამს საწყალი გლეხ-კაცი, იქნება რამე გამოდნეს და შეუბრალებელს სიღარიბეს თავი დააღწიოო. აი, კიდეც დათესა მან თამბაქო, დაამუშავა,

---

ანუ ძველის გვარეულობის შვილს, რადგან პირველ შემთხვევაში ჯანმრთელი შვილები ეყოლებაო.

ძლიერ ხშირია გადაგვარება ძველ საგვარეულო წევრთა შორის; ხშირად შეხვდებით რომელსამე წევრს ძველ გამოჩენილ ისტორიულ გვარისას, რომლის წინანდელ წევრებს დიდი ღვაწლი მიუძღვით მამულის წინაშე თავიანთის სიმამაცითა და გონებრივის ძალით და რომელიც მსხვერპლი შექმნილა გადაგვარებისა და სრულიად უსარგებლო წევრია საზოგადოებისა, ან ხშირად სასაცილო და მავნე თავისი თვისებებით. როგორც ადამიანს ეკარგება ღრმა სიბერეში ძალ-ღონე და ბოლოს უსუსური ბავშვივით ღონეს მოკლებული შეიქმნება ხოლმე, ისე დაემართა ბევრს ისტორიაში გამოჩენილ გვარეულობას. მიზეზი ამ მოვლენისა მრავალგვარია. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გაყვანილ და თავ-დაუჭერელ ცხოვრებას, რომელსაც ატარებდნენ ამ გვარეულობათა წევრნი. გარდა ამისა, შეუღლება ყოველთვის ერთისა და იმავე გვარეულობის წევრთა შორის მოხდებოდა ხოლმე და ან ძველ საგვარეულოთა წარმომადგენელთა შორის, ასე რომ ეს გვარეულობანი მოკლებულნი იყვნენ განახლების ძალას.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ გადაგვარება ადამიანის არსებისა სხვა და სხვა სახით გამოიხატებაო; გადაგვარებით აიხსნება ის მისწრაფება, რომელსაც ჰგრძნობენ დამნაშავენი ცუდ და ავაზაკურ საქციელის მიმართ, საზოგადოდ დამნაშავენი ორის რიგისანი არიან; პირველს რიგს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც დანაშაულს სჩადიან ცხოვრების შევიწროებულ გარემოებათა გამო, ასე რომ ხშირად იძულებულნი არიან დანაშაულს მიჰმართონ; ხოლო ასეთი დამნაშავე თუ რომ კარგს გარემოებაში ჩავარდა, შესაძლოა, რომ სამუდამოდ პატიოსანი ადამიანი იყოს.

მაგრამ არის ეგრედ წოდებული „დამნაშავის ტიპი“, ესე იგი, იმისთანა ადამიანი, რომლის გადაგვარება იმითი გამოიხატვის, რომ დაბადებით თან დაყოლილი აქვს თვისება ამა თუ იმ ცუდის საზოგადოებისათვის მავნე საქციელის ჩადენისა. ასეთი ადამიანი შესაძლოა კარგ გარემოებაშიაც იყოს და საშუალება ჰქონდეს თავისს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, მაგრამ სურვილი დანაშაულის ჩადენისა მაინც ამოძრავებდეს, ხშირად ეს თანდაყოლილი თვისება სძლევდეს და რაიმე ცუდი საქციელი ჩაადენინოს. ამგვარი თვისებების ადამიანნი მეცნიერებმა შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ იმათს ამ გვარს სულიერს გადაგვარებას გარეგანი აგებულებაც შეეფერება: სხეულის უმთავრესი ნაწილები, როგორიც არის, მაგალითებრ, თავის ქალა, ძლიერ დამახინჯებული აქვთ.

იმის დასამტკიცებლად, რომ „თან დაყოლილი დამნაშაობა“ სულით ავადმყოფობაა და მხოლოდ ერთს მის სახეს შეადგენს, მოჰყავთ ის, რომ ნამდვილ დამნაშავეთა შორის ძლიერ ხშირია ჭკუაზედ „შეშლილობა“. საპატიმროთა ექიმებმა აღნიშნეს, თუ რა ხშირია ხოლმე დამნაშავეთა შორის სხვა-და სხვა გვარი სულით ავადმყოფობა; წინად ესენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მიზეზი ამ მოვლენისა თვით საპატიმროში ცხოვრება და ყოფნა იყო, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რო მიზეზი თვით დამნაშავეთა ბუნებაშივეა. „დამნაშავეთა“ გვარეულობაში ძლიერ ხშირად ჰპოვებთ სულით ავადმყოფ ნათესავებს.

ზოგიერთი მგზავსება ყოფილა თურმე გენიოსთა და სულით ავადმყოფთა შორის. თუმცა გენიოსი მძლავრია თავისის ჭკუა-გონებით, რითაც იგი მაღლა სდგას სხვებზედ, მაგრამ იმისს არსებაში მოიპოვება იმისთანა სულიერი თვისებანიც, რომლებსაც გადაგვარების ბეჭედი აზის.

ძლიერ ხშირად გენიოსთ სულიერი „სისწორე“ აკლიათ; ვიცით იმისთანა გენიოსთა სახელები, რომლებიც ნამდვილნი სულით ავადმყოფნი იყვნენ.

გენიოსთ, როგორც გადაგვარებულთ, იშვიათად დარჩებათ ხოლმე შთამომავლობა და თუ დასტოვეს, გადაგვარებული შთამომავლობა ჰყავთ.

ძლიერ ხშირად გენიოსის სულით ავადმყოფობა იმალება და რჩება შეუმჩნეველი იმისს მძლავრისა და ბრწყინვალე ჭკუა-გონების სხივებში.

მრავალი იმათგანი, რომელთა სახელები მთელმა მსოფლიო ისტორიამ იცის, სულით ავადმყოფნი იყვნენ, მაგალითებრ მაჰმადი, იანნა დ'არკი, სოკრატი, ლიუცერი, მოლიერი, მოცარტი და სხვები.

„შეშლილობა“, როგორც ამბობს ერთი ავტორი, არის სიზმარი ცხადად, შეშლილს ძალა არა აქვს თავისი ფანტაზია შეაჩეროს; იგი მუდამ ოცნების სამეფოშია. გარშემო მყოფ ქვეყანას იმაზედ არა აქვს გავლენა, შეშლილი ამ ქვეყანასაც თავისებურად წარმოიდგენს ხოლმე. გენიოსი-კი თუმცა თავისის გატაცებულის ოცნებითა და ფანტაზიით შეშლილს მოგვაგონებს, მაგრამ ამასთან დიდი დამაკვირვებელი ძალა აქვს, იგი ნათლად არჩევს ოცნების უბრალო ნამოქმედარს სინამდვილისაგან; ამ აღმაფრენასა და გონების საღს მოქმედებაშია იმისი ძალა.

საზოგადოდ გენიოსის ბუნება რაღაც განცალკევებულს არსებას წარმოადგენს; ის, რაც უბრალო, საღის ადამიანის ჭკუა-გონებისათვის შეუძლებელია, გენიოსისთვის ადვილია; გენიოსს ბავშობიდგანვე ეტყობა საუცხოვო გონებრივი ძალა. მაგალითებრ, პასკალი თერთმეტის წლისა არ იქნებოდა, რომ გეომეტრია შეჰქმნა, ხოლო თექვსმეტის წლისამ მთელი ცვლილება მოახდინა ფიზიკაში. განა ეს საკვირველი არ არის? იმ ასაკში, როდესაც ბავშვები ცელქობენ, პასკალს ბუნების მოვლენანი უფრო კარგად და ღრმად ესმოდა, ვიდრე ყველა მეცნიერებს ოცის საუკნის განმავლობაში. რასაკვირველია, ამ გვარს არსებას რაღაც განცალკევება და განსხვავება ეტყობა ჩვეულებრივის აგებულების ადამიანისგან.

მაშასადამე, გადაგვარება იგივე სულიერი ავადმყოფობაა. გადაგვარებული ადამიანი უსარგებლო და ხშირად მავნე წევრია საზოგადოებისა (რასაკვირველია, გენიოსთა გარდა, თუ ამათაც სულით ავადმყოფთა შორის არ ჩავრიცხავთ).

რაც შეეხება იმას, რომ ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა ეს არა სასიამოვნო მოვლენა, იმედი უნდა გიქონიოთ; რომ, როდესაც ცხოვრების გარემოებანი გაუმჯობესდება, გადაგვარება და მასთან სხვა-და-სხვა გვარი სულით ავადმყოფობაც თავისს მავნებელს ძალას იკლებს და შესუსტდება.

ექ. ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამზადა. საზრალოს გული სიხარულით ევსება, რომ მისმა შრომამ ფუჭად არ ჩაიარა და კარგი თამბაქო აკეთა. დღეს ორმოც ფუთამდე თამბაქო აქვს დამზადებული გასასყიდად. გულის ფანცქალით გაჰყურებს ის გზას, იქნება ღმერთმა მომხდოს, ვინმე მყიდველი გამოჩნდეს და ჩამიჩხრიალოს ხელში ფულები. „ქალს კაბას ვუყიდი, ბალღებს პერანგს შევუკერავ და მეც ერთს „კერმუსტის" წუღას ვიყიდიო". ვინ იცის, რას არ ოცნებობს საზრალო გლეხი. აი გამოჩნდნენ კიდეც მყიდველები, ვინ არიან ესენი? ესენი გახლავთ ხიდისთაველი ჩარჩები. დაუჭერიათ ხელში ჯოხები, გადაუკიდიათ მხარზედ თავიანთი ყანთარი და დინჯად მოიზლაზნებიან. აი მოვიდნენ კიდეც, ნახეს თამბაქო, მოურიგდნენ და დაიწყეს წონვა—,,ოც-და-რვა ფუთი არის'', გუბნება ვაჭარი. საწყალი გლეხ-კაცი გაოცებული დგას და არ იცის რა სთქვას. „მე ავწონე, ბატონო, და ორმოცი ფუთი გამოვიდა და ეგი რაფერ არის, რომ ეხლა ოც-და-რვა არის"? „შენ რა იცი, ბიჭო, ან წონა, ან ანგარიში, ეს ჩვენ გვკითხე, ორმოცი რაა, შენ შეგცდენია".-გლეხიც ჰფიქრობს, მე შემცდენიაო, ეთანხმება და აძლევს თავისის ოფლით მონაგარს.

მაგრამ ერთის ანდაზისა არ იყოს, „მუდამ კოკა წყალს არ მოიტანსო". სწორედ ასე მოუვიდათ ხიდისთაველ მეთუთუნე ჩარჩ-ვაჭრებს. ამ აგვისტოს პირველ რიცხვებში ოთხი ხიდისთაველი ბობოლა ვაჭრები: ბ-ო თე—მე, ა-მ ს-მე მმ. თ-ხ და ი-რ კ—ძენი, მივიდნენ თამბაქოს სასყიდლად ჯვარცხმის საზოგადოების მცხოვრებ აზ. ა. ბ მესთან. რასაკვირველია, ჩვენმა ჩარჩებმა თავიანთი ყანთარი გადაკიდეს მხარზედ. ბ-მემ სხვა ყანთარით დაიწყო წონვა, მაგრამ ამათ ეს არ ესიამოვნათ და თავიანთი ყანთარი წარადგინეს. ბ-მეს ეჭვი შეეპარა, დაითხოვა ისინი, სხვაგან მივდივარ და ხვალ მოდითო და თითონ საჩქაროდ მეორე დღისთვის მამასახლისი მწერლითურთ დაიბარა. მეორე დღეს შეუდგნენ თუ არა ჩვენი ჩარჩები თამბაქოს წონვას, ბ მემ საჩქაროდ წამოუყენა იმათ იქვე ახლო დახვდული მამასახლისი და წაართვა ყანთარი. შეადარეს სხვა ყანთარს და ყანთარი ყალბი გამოდგა. მან საჩქაროდ გადასცა მამასახლისს, რომ დაებეჭდა და გადაეცა, სადაც ჯერ იყო. ეხლა კი ვაჭრებს ფერი ეცვალათ და დაიწყეს ხელის ფათური, იქნება რამე მოვახერხოთო, მაგრამ ტყუილად. მამასახლისმა მაგრად ჩაჰკიდა ხელი. რა ნახეს, რომ იქ ვერაფერი გამოდნებოდა, საჩქაროდ კუდამოძუებულნი გაქანდნენ თავიანთ დუქნებისკენ, რომ გაეხსნათ თავიანთი ქისები და როგორმე „პატარა ღმერთის" წყალობით მოელბოთ იმათის დამღუპველების გული და ჩაეფუჩეჩებინათ საქმე. საღამოს ჟამს დ. ხიდისთავში შეიქნა ერთი ფაცა-ფუცი, ზოგიერთ დუქნებში დიდი მოლაპარაკება იყო. ჩვენმა ჩარჩებმა საჩქაროდ მიჰმართეს თავიანთ ცოლებს და აფრინეს აქეთ-იქით. მეორე კაციც მამასახლისთან და თან გაატანეს სხვა ყანთარი. გაიმართა ტელეფონი დუქნებიდამ „წყალს გაღმა" მამასახლისთან და „წყალს გაღმა" გაკეთდა საქმე. ყანთარი გადაკეთდა. ეხლა ყველანი თამბაქოს გამყიდველს მიესივნენ, მაგრამ მაინც საქმე მოუხდა. ხოლო ერთის კვირის შემდეგ გაკარდა ხმა, რომ ყალბი ყანთარი დაიჭირესო. მთელი სოფელი ფეხზედ დადგა. ყველას დღეს საბაასოდ ეს ამბავი აქვს. ვინ თამბაქოს სტირის, ვინ აბრეშუმს, ვინ სიმინდს და სხვა.

თითქმის ორმოცი წელიწადია რაც ეს ჩარჩები ამ ყანთრით ყიდულობენ ყოველივე სოფლის ნაწარმოებს და უფრო კი თამბაქოს. დღეს რომელი სოფელი გინდათ, რომ ამათგან არ იყოს დაზარალებული? ეს ვაჟბატონები კი არხეინად არიან და გულ-საგულეს აქვთ, რადგან მათმა ხერხმა გაიმარჯვა; მაგრამ ნუ თუ ეს საქმე ასე უყურადღებოდ ჩაივლის და არავინ ხმას არ ამოიღებს? ნუ თუ ისეთი ვინმე არ გამოჩნდება, რომ ამ საქმეს გამოეკიდოს და ალაგმოს ამ ჩარჩების მოქმედება?! ვგონებ, რომ საქმე გაკეთდება, თუ ვინმე იდებს თავზე.მოწმები ბევრი არის. გაიგე, ვითომ ზოგიერთები აპირებდნენ რაღაცას, უსურვებ, რომ არ შეღრეკილიყვნენ და ჩვენდა სასიხარულოდ დაეგვირგვინებინათ საქმე.

inimicus

# რუსეთი

—

17 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ, საერთაშორისო გეოლოგოსთა მე VII კონგრესის მეცადინეობა დაიწყო საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმის შენობაში. კონგრესის მეცადინეობა კონგრესის პრეზიდენტის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის თავმჯდომარეობით დაიწყო.

— საფრანგეთის პრეზიდენტს ფორს რუსეთში ყოფნის დროს 8,500 მან. გადაუცია თავისს საკუთარ ფულიდგან გენერალ-ლეიტენანტის ბირდელინგისათვის, რომ ეს ფული რუსეთის სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა შორის იქმნას განაწილებული.

— საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტში მისაღები გამოცდა 16 აგვისტოს დაიწყო იმათთვის, ვისაც სასულიერო სემინარიაში დაუსრულებია სწავლა. გამოცდა 19 აგვისტომდე გასტანს. ამ წელს სულ 40 კაცია გამოსაცდელი.

— გეოლოგოსთა საერთაშორისო მე-VII კონგრესის ბიუროში ამ ჟამად ხელმოსაწერი ქაღალდებია იმათთვის, ვინც კონგრესის წევრთაგანი არარატისა, კავკასიისა და ყირიმის ნახვას მოისურვებს. პირველს მოგზაურობას 11 დღეს მოუნდებიან და თითოეულს წევრს 100—120 მან. დაეხარჯება. კავკასიასა და ყირიმში წასვლა კონგრესის წევრთ სამის გზით შეეძლებათ: ხარკოვსა, კიევსა და მდინ. ვოლგაზედ. თითოეულს ამ მოგზაურობას 232 მან. დასჭირდება.

— გეოლოგთა საერთაშორისო მე VII კონგრესის პროგრამა დღეს იქმნა გამოცხადებული.

— ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საკონკურსო მისაღები გამოცდა 18 აგვისტოსათვის არის დანიშნულიო, იწერებიან რუსული გაზეთები. გამოცდა 29 აგვისტომდე გასტანს. პირველს კურსზედ შესვლის სურვილი სულ 80 სემინარია-დასრულებულს სტუდენტს განუცხადებია, თავისუფალი ადგილი-კი სულ 50.

— საგანგებო კომისია, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთან უნდა შესდგეს ვ. ნ. კოკოვცევის თავმჯდომარეობით თამბაქოს შესახებ კანონდებულებათა გადასასინჯველად, იმასთან ერთად, თუ რამდენად მოსახერხებელია, რომ დაფურცლულს თამბაქოზედ ყველგან ერთნაირი გარდასახადი იქმნას შემოღებული, განიხილავს იმასაც, თუ აღნიშნული სისტემა როგორ მიუყენონ მახორკასა და აგრეთვე სიგარას. ამასთანავე ერთად განხილულ იქმნება ის, თუ რა საშუალება უნდა იღონონ, რომ დღევანდელი წესი სააქციზო გარდასახადთა დაცულ იქმნას.

# უცხოეთი

—

**ბელგია.** ბელგიის მთავრობამ ამას წინად ახალი კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც ყველა უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი, რომელიც ბელგიაში სამუდამოდ სცხოვრობს, ვალდებულია ბელგიის ქვეშევრდომობა მიიღოს და ბელგიის მოქალაქეებთან ერთად სამხედრო ბეგარა გადაიხადოს. გაზ. „Börs. Covr."-ის სიტყვით, ბელგიის მთავრობას ბევრი დიპლომატიური მოლაპარაკება მოუხდება, ვიდრე ამ კანონს განახორციელებს ჲ უცხო-ქვეყნელებს ჯარის კაცებად გაიწვევსო. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სხვა სახელმწიფონი წინააღმდეგობას გაუწევენ ბელგიასა და ნებას არ მისცემენ თავიანთ ქვეშევრდომნი მან ჯარის-კაცებად გაიყვანოსო. მართლაც და საფრანგეთის მთავრობამ უკვე აცნობა ოფიციალურად ბელგიის მთავრობას, რომ ნებას არ მოგცემთ ჩვენი ქვეშევრდომნი ჯარის-კაცებად გაიწვიოთო; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ჩვენც მაგრე მოვიქცეთ და ყველა ბელგიის ქვეშევრდომი, რომელიც საფრანგეთში სცხოვრობს, ცეცხლის საქრობ რაზმებსა და გვარდიის ჯარებში ვამსახუროთო. არც ინგლისის მთავრობამ შეჰხედა ამ კანონს კარგის თვალით და უკვე შეუთვალა ბელგიის მთავრობას, რომ ჩვენნი ქვეშევრდომნი ვალდებულნი არ არიან ბელგიას ემსახურნენ და თუ თქვენ მაინც აიძულებთ მათ და ჯარის-კაცებად გაიწვევთ, ინგლისის მთავრობა სხვანაირად დაიჭერს საქმესაო.

—

**ავსტრი-უნგრეთი** ჩვენ არა ერთხელ ჲ ორჯერა გვქონდა მოხსენებული ის,თუ რა ალიაქოთი გამოიწვია ავსტრი-უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტის გრაფის ბადენის განკარგულებამ ჩეხელთა ენის შესახება და რა მტრულად მიეგებნენ გერმანელები როგორც ამ განკარგულებას, აგრეთვე თვით ბადენსა და ჩეხელებს. ამ განკარგულების შემდეგ ავსტრიელებსა და ჩეხელებს შორის მთელი უფსკრული გაჩნდა. მართალია, არც წინად იყვნენ მეგობრულად განწყობილნი ეს ერთის სახელმწიფოს ორი ერი, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს მათ შორის სიმძულვარემ უკანასკნელ წერტილამდის მიაღწია. როგორც ყველგანა ჲ ყველა საქმეში, აქაც უბედურება ღარიბსა და უმწეო ხალხს დაატყდა თავს. მრავალი მუშა დარჩა ულუკმო-პუროდ, რადგანაც ერთის ერის მექარხნეები აღარ აყენებდნენ თავიანთს ქარხნებში მეორე ერის მუშებსა და შეუბრალებლად ერეკებოდნენ მათ. ასეთის განწყობილების მოსასპობად და სახელმწიფოში მშვიდობიანობის დასამყარებლად გრაფმა-ბადენმა ავსტრიელთა და ჩეხელთა შერიგება და მათი შეთანხმება მოიწადინა. ამ აზრით მან კონფერენცია დანიშნა, რომელსაც ორივავე ერის წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ და ერთი ერთმანეთში მოლაპარაკებით როგორმე შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, გრაფი-ბადენი თავისს სურვილს ვერ განახორციელებს, რადგანაც ავსტრიელთა ყველა წოდების წარმომადგენელთ განაცხადეს, რომ სრულებით არ გვინდა ჩეხელებთან შეთანხმებაო და ამიტომ ამ კომფერენციას ვერ დავესწრობითო. ეჭვი არ არის, გრაფი-ბადენი და მთლად მთავრობა დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, თუ ასეთი წეს-წყობილება დიდს ხანს გაგრძელდა. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ბადენი იძულებული გახდება სამსახურს თავი მიანებოსო. მართლაცა და, ძალიან ძნელია ისეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, სადაც ხალხთა შორის მტრობა-სიძულვილია გავრცელებული. პარლამენტში, სადაც ამ გადამტერებული ხალხის წარმომადგენლები სხედან, რასაკვირველია, ვერც ერთი საქმე ველარ გადაწყდება, რადგანაც ორატორები მუდამ ერთი მეორის დამარცხებისა და დამცირების ცდაში იქმნებიან.

—

**სამხრეთი ამერიკა.** ჩვენს მკითხველებს უთუოდ არც კი გაუგონიათ, რომ სამხრეთს ამერიკაში არსებობს ერთი პატარა სახელმწიფო ურაგვაი. ურაგვაიში რესპუბლიკანური წეს-წყობილებაა და უკანასკნელი პრეზიდენტი ბორდა 1894 წელს აირჩიეს. კარგა ხანია, რაც ამ სახელმწიფოში ორი უმთავრესი დასი მოქმედობს და ხან ერთს ჩაუვარდება მართვა-გამგეობა ხელში და ხან მეორეს. სიმძულვარე დასთა შორის იმდენად გამწვავდა ამ ბოლოს დროს, რომ აღარავითარს საშუალებას აღარა ზოგავდნენ ერთი მეორის დასამარცხებლად, და ასე გასინჯეთ, პრეზიდენტიც კი იმსხვერპლა ამ მტრობამ. ამ რამდენიმე დღის წინად,როდესაც პრეზიდენტი ბორდა ეკკლესიიდგან გამოდიოდა მინისტრებთან და სხვა წარჩინებულებთან ერთად, ერთი ახალგაზდა კაცი დახვდა წინ და ორჯელ ზედი ზედ რევოლვერი ესროლა. პრეზიდენტი რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი ურაგვაის ჯარის აფიცერი აღმოჩნდა, 27 წლის კაცი, გვარად აველიუს არრედონდო. როგორც ამბობენ, არრედონდო „თეთრთა" დასის მომხრე ყოფილა და რადგანაც მთავრობა,„წითელთა" წარმომადგენელნი—საშინლად სდევნიდა ამ დასს, განიზრახა პრეზიდენტის მოკვლა და მოჰკლა კიდეც.

# დამაკვირდი

(სერბიის დედოფლის ნატალიასი)

დედა-კაცი ბრმასავით არის: თუნდა წაიქცეს, მაინც არ იშლის და წინ მიდის.

* * *

დედა-კაცს მუდამ იმისთანა ქმარი უყვარს, რომელიც ბრძანებლობს და ბატონობა იცის.

* * *

გულ-მძიერი დედა-კაცი დიდებულ საქმეს ჰქმნის მხოლოდ დიდის აზრის გულისათვის, ან იმისთვის, რომ მოწონოს ვისმე. რა ბრწყინვალე იქმნებოდა მისი ღვაწლი, რომ დიდი აზრი და თავის-მოწონება ორივ ერთად ამოქმედებდეს დედა-კაცს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთმა მეცნიერმა რავენშტეინმა გამოიანგარიშა ის, თუ რამდენ ადამიანს შეუძლიან ცხოვრება დედამიწის ზურგზედ და როდის იქმნება ის დრო, როდესაც მთელი დედამიწა ხალხით გაიმსება. რავენშტეინის სიტყვით მთელ დედამიწაზედ ამ ჟამად მილიარდი 46 მილიონი მცხოვრებელია, ხოლო მთლად ხმელეთი, სადაც კაცის დასახლება შეიძლება, 46,350,000 ინგლის. ოთხ-კუთხი მილი იქმნება, ნაყოფიერ მიწას 28 ოთხ-კუთხი მილიონი მილი უჭირავს, 14 მილიონი-მინდორს და 4 მილ. უსიცოცხლო უდაბნოებს. რავენშტეინის აზრით თითო ოთხ-კუთხ ნაყოფიერ მიწაზედ 207 კაცს შეუძლიან იცხოვროს, მინდორზედ-10 კაცს, ხოლო უდაბნოზედ 1 კაცს. ასეთის ანგარიშით გამოდის, რომ მთელს ხმელეთზედ 5,994 მილიონ კაცს შეუძლიან ცხოვრება ხოლო ამაზე მეტს დედა მიწა ველარ გამოჰკვებავს.

რავენშტეინის გამოკვლევით ყოველ ათ წელიწად მცხოვრებლებს რვა პროცენტი ემატება, ასე რომ დედამიწაზედ 5,994 მცხოვრებელი 2072 წელს იქმნება, ესე იგი, თითქმის საუკუნე ნახევრის შემდეგ.

* * *

როგორც „ჰამბურგერ ფრემდენ-ბლატტ"-ი იუწყება, ერთს ინგლისელს სწავლულს ამ ბოლოს დროის სტატისტიკურ ცნობებით უსარგებლნია და განუზრახავს მათის საშუალებით გამოიკვლიოს, თუ ჰავას რა გავლენა აქვს ადამიანის ხანგრძლივს სიცოცხლეზედ. როგორც ამ გამოკვლევას აღმოუჩენია და ძველადაც არსებობდა ასეთი აზრი, ზომიერს ჰავაში მცხოვრები ადამიანი უფრო ხანგრძლივა სცოცხლობს თურმე, ვიდრე ცხელს ქვეყნებში. გერმანიასა, ინგლისსა და ჰოლლანდიაში 1000 მცხოვრებში 77 კაცი 60 წელზედ მეტსა სცოცხლობს, დანიაში 84, შვეციაში 88, ნორვეგიაში 90. რუსეთში ჩრდილო გუბერნიების მცხოვრებნი უფრო მაღალის ტანისანი არიან, ვიდრე სამხრეთ გუბერნიებისა. ავსტრიასა და პორტუგალიაში 60 წელს ათასში მხოლოდ 71 კაცი-და სცოცხლობს, ისპანიაში, სადაც უფრო ცუდი ჰავაა, მხოლოდ 58 კაცი, საბერძნეთში—56 კაცი; ოსტ-ინდიაში, როგორც-კი სტატისტიკური ცნობები იუწყებიან, 40 კაცი სცოცხლობს 60 წელს, სამხრეთ ამერიკაში—50. საფრანგეთში ყველაზედ მეტი მოიპოვება სამოც-წლიანი, აქ ათასში 127 სამოც წლამდე აღწევს. საფრანგეთის შემდეგ ირლანდია იძლევა ყველაზედ მეტს სამოც-წლიანს ხალხს: ათასზედ 105 მოდის. 1897 წლის აღწერით, ინგლისში ოთხმოც-და-ათ წლიანი ადამიანი 188 ყოფილა და ასს წელიწადს გადაცილებული—14.

## „ივერიის" ფოსტა

—

**ღვაბზუელს ხელოსანს**: გამოგზავნეთ და ვნახავთ.

**ქ. ს—ლი. სიღნაღელს**, თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ევლახი. ონისიმეს**: სახელ და გვარ მოუწერელს წერილებს რედაქცია არა კითხულობს.

**სად. ხ—ა. ნ. ა—ცს.** „სიყვარული" არ დაიბეჭდება.

**ხიმშელს ა. ს.** თქვენი წერილი საყურადღებოდ არ მიგვაჩნია.

**გრ. ქორჩ—ვას**: თქვენი წერილი „ჩემს ძმას გლეხობას" არ დაიბეჭდება.

**ბ-ნს კახელს**: თქვენი „ნაწყვეტები" არ დაიბეჭდება.

**დ. ძ.—ს.—ძი. კოლხიდელს**: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**დ. თ—შვილს**: თქვენი პოემა „ცდომილი" არ დაიბეჭდება.

**დ. ნ—წმინდელს**: მინდიას დარდს ვერ დავბეჭდავთ.

**ჯ—ს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**დ. ხ—ნი. ვ. ქ—ძეს**: თქვენი „ნაწყვეტი" არ დაიბეჭდება.

**გ. გე—შვილს:** თქვენ ერძო შემოწირულება მიგიღიათ და ამიტომ პირადად გარდაეცით მადლობა.

**ქ. ა—ე. ვინ. მეს:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**კინჩხის საზოგადოების მეთვალყურეს:** თქვენი მამასახლისი და მასწავლებელი შეიძლება არ ვარგოდნენ და მართალს იწერებოდეთ იმათის უკანონობის შესახებ, მაგრამ ეს რაღაა, რომ თქვენს ვინაობასა ჰფარავთ? განა სიმართლის მთქმელი ნიღაბს გაიკეთებს სახეზედ?...

**დ. ლანჩხუთი. კაპრიზს:** კონტის წერილი „ცნ. ფურც.“-ში იყო დაბეჭდილი და თქვენის პასუხითაც იქ მიჰმართეთ.

**დ. თე—ლა. ჟანს:** თქვენი წერილი ისეთის ქართულით არის დაწერილი, რომ ყოვლად შეუძლებელია იმისი გაგება.

**სოფ. ჯვარცხმა. ვილაძეს:** ვინა ჰბრძანდებით? უსახელო ავტორების წერილებს არა ვბეჭდავთ.

**დ. სურამი. ვ. ჯულელს:** გაზეთები თქვენთვის არ მოგვისპია. თქვენის უკანასკნელ წერილის მიღებამდის ბელაგორში იგზავნებოდა უკლებლივ. არ ვიცით, რა ნომრები გაკლიათ. დაკლებული ნომრები უწინდელის ადრესით მოიკითხეთ.

◆

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 აგვისტო.

**ვარშავა.** 21 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, ლაზენკოვის სასახლეში სადილი იქმნა გამართული.

ნოვოგიორგევსკში ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, პავლე ალექსანდრეს ძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე, სამხედრო მინისტრი, საიმპერატორო სასახლის სამინისტროს გამგე და ამალა ციხე-სიმაგრის დასათვალიერებლად წაბრძანდნენ. სიმაგრეების დათვალიერების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და მასთან ერთად საიმპერატორო გვარეულობის წევრნი საიმპერატორო სადგომში მიბრძანდნენ, სადაც უმაღლესი საუზმე იყო მომზადებული. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრებითურთ სიმაგრე ზეგრავს წაბრძანდა. ხელმწიფე იმპერატორმა სიმაგრე დაწვრილებით გასინჯა და შემდეგ ისევ ვარშავას დაბრუნდა. რკინის გსის სადგურიდგან ლაზენკოვის სასახლემდე მისს უდიდებულესობას გზაზედ აუარებელი ხალხი ალტაცებით ეგებებოდა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: კვლავ გამოიცეს გაზეთი „ოდესის ფურცელი“.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ახლა-კი შეიძლება ითქვას, რომ ბაზრობა საშუალო იყო ამ წელს. შედარებით შარშანდელ წელთან, ამ წელს სამანუფაქტურო საქონელში მანეთზედ 90 კ. ვაჭრობდნენ; ფასები არ იცვლებოდა. ივანოვის ჩითები კარგად იყიდებოდა. ზოგიერთი ჯურა ჩითები ალარც-კი იშოვებოდა. ხანკოუს ჩაი მთლად გაიყიდა. კიახტის ჩაისა ჩინელებს 2,500 ყუთი კიდევ დარჩათ გაუსყიდველი. შავი ჩაი 67—75 მან. იყიდებოდა. ჩვეულებრივი 60—63 მან. გადიოდა. მომეტებული ნაწილი ამ ჩაისა ასტრახნელმა ვაჭარმა კოზლოვმა იყიდა. ასტრახნის დამარილებული თევზი ადგილობრივ მაღალ ფასებში გაიყიდა; სელდები 300 ბოჩკა იყო მოტანილი. 50-დგან 64 მან. იყიდებოდა. სპარსული ხილი კარგ ფასებში იყიდება. ნუში 10 მან. და 50 კაპ. იყიდებოდა. საქონლის შესაკვრელი თოკი შარშანდელზედ 25% მეტად გაიყიდა. ციყვის ტყავი შარშანდელზედ 15% მეტს ფასში გაიყიდა; გასასყიდი აღარ არის. კატის ტყავები ნაკლებად იყიდება ძ დაბალს ფასებში. კურდღლის ტყავი ნახევარ მილიონამდე იყო გამოტანილი. კარგს ფასებში იყიდება—19—23 კაპ. წვიმა დაიწყო შიგა და შიგ.

23 აგვისტო

**ვარშავა.** ხელმწიფე იმპერატრიცამ ინახულა იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზედ დაარსებული სახლი ქვრივთათვის, იაფ ფასიანი სასადილო, ვარშავის საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარი, საშრომისმოყვარეო სახლი და სამკურნალო ბავშვთსთვის.

სადღესასწაულო სადილის შემდეგ, ლაზენკოვის თეატრში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა, რომელზედაც მიწვეული იყო ვარშავის გიმნაზიების მოსწავლე ახალგაზდობა.

22 აგვისტოს, დილით, ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი წავიდნენ ვარშავის ყველა ციხე-სიმაგრეების დასათვალიერებლად.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და რექტორი ყაზანის სასულიერო აკადემიისა არქიმანდრიტი ანტონი დანიშნა ჩებოკსარის ეპისკოპოსად და ყაზანის ეპარქიის ვიკარით: ამასთანავე არქიმანდრიტი ანტონი ისევ დარჩება აკადემიის რექტორად.

**პარიჟი.** მივიდა რა ფორი დიუნკერჰენში, ხელმწიფე იმპერატორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „იმ წუთში, როდესაც ფეხსა ვსდგამ საფრანგეთის მიწა-წყალზედ, ჩემი ფიქრი მომართულია თქვენის უდიდებულესობისა, იმპერატრიცისა და რუსეთის ერის მიმართ: საუცხოვო და გულითადმა დახვედრამ გამოიწვია მთელს საფრანგეთში დიდი სიხარული. იგი ჩვენს გულში დაუვიწყარი იქმნება. მე ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას კვლავ მიიღოთ ჩემგან მადლობა და სურვილი თქვენის უდიდებულესობისა, იმპერატრიცისა და საიმპერატორო გვარეულობის ბედნიერებისა, ხოლო რუსეთს ვუსურვებ სიდიადესა და კეთილდღეობას.—ფელიქს ფორი“.

ხელმწიფე იმპერატორმა დეპეშითვე უპასუხა:

„იმპერატრიცა და მე დიდად გმადლობთ კეთილ სიტყვებისთვის, რომლითაც თქვენ მგვმართეთ. ჩვენ დიდის სიამოვნებით ჩავინერგავთ გულში თქვენის მობრძანების ამბავს რუსეთში, რომელსაც საფრანგეთთან ერთად ერთხელ კიდევ ურთიერთისთვის უცემდა გული“.

პეტერბურგის ბირჟა, 22 აგვისტო.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გარიგებისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $205^{1}/_{2}$ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | $100^{1}/_{2}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $285^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 245 |

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-161-№-ში დასტამბულია კორესპონდენცია, ქვემო-მაჩხაანიდგან მოწერილი. ავტორი ამ კორესპონდენციისა ბრძანებს, ვითომც ჩემს ცოლს ეცემნოს ჰუჰულაშვილის ცოლისათვის და სხვანი.

საქმე აი როგორ გახლდათ: ერთს დილას ჩემს აფთიაქში შემოვიდა ჰუჰულაშვილისა, წამალი იყიდა და წასასვლელად რომ მოემზადა, უეცრად შეჰკივლა, ორი შაური მაკლიაო; დააბრალა აქვე მდგომ წამლის მყიდველ მეორე დედა-კაცს, იმან როგორც იყო თავი იმართლა, მერმე იმავე ჰუჰულაშვილისამ მე მომმართა, შენ მომპარავდიო; თავი ვიმართლე, იქნება სხვაგან დაგეკარგა მეთქი. მაგრამ არავითარი ფიცი არ გამივიდა ამ დედაკაცთან. ბოლოს, როცა უშვერის სიტყვებით დაგვიწყო, ლანძღვა, მე და ჩემი სახლობა იძულებულნი შევიქენით კარში გაგვეგდო, რადგან სხვა წამლის მყიდველებსაც აბრკოლებდა; ამ შემთხვევაში ძალა ვიხმარეთ, იმიტომ, რომ ნამეტნავად შეგვაწუხა იმისმა უმსგავსმა საქციელმა; ეს ამბავი რომ ქალაქში მომხდარიყო, უეჭველად პოლიციის ძალას მიმართავდა კაცი; რადგან აქ პოლიცია არ არის, როგორ უნდა მოიქცეს კაცი, როგორ დაიცვას თავისი თ ვი, .თუ არ საკუთარის ძალით?.. კორესპონდენცია ჩემს მტრობას გამოუწვევია, ამიტომ აღარა ღირს ვსთქვა რამე კორესპონდენციის დანარჩენ შენიშვნებზედ; ვიტყვი მხოლოდ, რომ სამი წელიწადი მაქვს აფთიაქი ს. ქვემო-მაჩხაანში და ჩვენგან უზრდელობა არავის გაუგონია; ეს იქიდგან სჩანს, რომ ორის წლის წინად ძალიან ცოტა შემოსავალი მქონდა და ეხლა ხალხი იმდენად შეეჩვია ჩემს აფთიაქს, რომ ორი ზომა შემოსავალი მაქვს; ცხადია, ხალხს თუ უზრდელად ვეკიდებოდე, ვინღა მოვა ჩემ აფთიაქში წამლის სასყიდლად? ამას თავი დავანებოთ, დაჩაგრულ მხარეს შეუძლია ან იჩივლოს მთავრობასთან და ამისთანა საჩივარი-კი ჩემზედ არა ყოფილა-რა... ჰუჰულაშვილისასთვის ჩემ სახლობას არ უცემნია. 1894 წლის „ივერიის“ ერთს №-ში აქაურმა კორესპონდენტმა ქება უძღვნა ჩემს აფთიაქს; იგივე კორესპონდენტი დღეს სულ სხვას ამბობს. ნუ თუ წარმოსადგენია, რომ 2—3 წლის შემდეგ ასე გამოვიცვლიდი ხასიათს და გავაფუჭებდი ჩემის აფთიაქის საქმეს?

ამის შემდეგ რაც უნდა დაჰბეჭდონ ჩემ წინააღმდეგ, არავითარს პასუხს აღარ მივცემ.

ქვემო-მაჩხაანის მეაფთიაქე ს. კურცხალია

◆

## განცხადებანი

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:
Цвѣточнаго о-де-колона,
Глицериновой пудры,
усовершенствов. Глицериноваго мыла
и парфюмеріи „Персидская сирень“,
вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниманіе на нашу фабричную марку и фирму.
Би К° Би К° БРОКАРЪ и К° ВЪ МОСКВѢ ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.
(11—მ.—3)

**სასწავლებელი და პანსიონი**

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერ-სტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პონსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30. (10—157—3)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

ცნობილ ფაბრიკების

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.
(22)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მშვიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—21)

მაქვს პატივი ვაუწყო

ბ-ნთ თამბაქოს პლანტატორებს, მეფაბრიკეთ და დაუჭრელ თამბაქოთი მოვაჭრეთ,

რომ ახლად გავაღე ადგილობრივის

დაუჭრელ თამბაქოს საწყობი

ქ. ტფილისში, რიყეზედ, ქ-ნის ხოსროევის ქარვასლაში.

დავშთები პატივისცემით შახნაზარ-ათაბეგიანცი
(3—150—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 24-го Августа 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.